სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/194

ქ. თბილისი 24 დეკემბერი 2024 წ.

„საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 19 მაისის №01-05-04/42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 30 აგვისტოს №141/ნ ბრძანების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის და 26-ე მუხლის შესაბამისად, უნივერსიტეტის ვიცე-რექტორის სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 24 დეკემბრის № 01-05-02/35 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 19 მაისის №01-05-04/42 დადგენილებით დამტკიცებულ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) მე-5 მუხლის:

ა.ა) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის თავმჯდომარე, დაცვის კოლეგიის თავმჯდომარის მოადგილე და დაცვის კოლეგიის მდივანი არ შეიძლება იყოს სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტი. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის წევრი არ შეიძლება იყოს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი.“;

ა.ბ) მე-8 პუნქტის შემდეგ დაემატოს მე-9 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„9. რეცენზენტების დამტკიცებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი ანონიმურობა, რაც გულისხმობს, რეცენზიის გაცნობამდე დოქტორანტისთვის ან/და მისი ხელმძღვანელისთვის/თანახელმძღვანელისთვის რეცენზენტის ვინაობის კონფიდენციალურობის დაცვას.“

ბ) მე-10 მუხლის მე-8^1-მე-8^2 და მე-9 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8^1. საპრეტენზიო კომისია საჩივარს განიხილავს და იღებს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას:
ა) აკმაყოფილებს საჩივარს და ცვლის ან აუქმებს სადისერტაციო საბჭოს/დაცვის კოლეგიის გადაწყვეტილებას;
ბ) არ აკმაყოფილებს საჩივარს და უცვლელად ტოვებს სადისერტაციო საბჭოს/დაცვის კოლეგიის გადაწყვეტილებას;
8^2. დაინტერესებული პირი და სადისერტაციოსაბჭოს/დაცვის კოლეგიის წევრები უფლებამოსილნი არიან ახსნა-განმარტების მისაცემად დაესწრონ საპრეტენზიო კომისიის მიერ საჩივრის განხილვის სხდომებს.
9. საპრეტენზიო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ან/და სადისერტაციო საბჭოს/დაცვის კოლეგიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.“;

გ) მე-13 მუხლს დაემატოს მე-2 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„2. ამ დებულების მე-5 მუხლის მე-9 პუნქტი გავრცელდეს 2024 წლის 30 აგვისტოს შემდეგ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ დოქტორანტებზე.“.

2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**